| ინფორმაციის მიწოდება შეწყვეტილია | არა | სტატუსის ვალიდურობის თარიღი - ინფორმაციის მიწოდება შეწყვეტილია | |
| გაუქმებული მოთხოვნა | არა | სტატუსის ვალიდურობის თარიღი - გაუქმებული მოთხოვნა | |
| ხანდაზმული მოთხოვნა | არა | სტატუსის ვალიდურობის თარიღი - ხანდაზმული მოთხოვნა | |

| | | | |
|--|---------------|--------------------------------|--|
| კონტრაქტის დეტალები | | | |
| სესხის საწყისი თანხა | 3470,0000 GEL | გადახდების პერიოდულობა | ყოველთვიური რეგულარული შენატანები - 30 დღე |
| სტანდარტული შენატანის ოდენობა | 0,0000 GEL | გადახდის ტიპი | საკრედიტო ბარათები |
| ვადაგადაცილებული თანხა გადახდის დღის დადგომის შემდეგ | 0 GEL | ნაშთი გადახდის დღის დადგომამდე | 0,0000 GEL |
| დარჩენილი ვადა | 0 | | |

| | | | | | | |
|---|---------------|---------------|---------------|---------------|----------------|----------------|
| განხორციელებული გადახდების გრაფიკი | | | | | | |
| თარიღი | 6/2017 | 7/2017 | 8/2017 | 9/2017 | 10/2017 | 11/2017 |
| სესხის საწყისი თანხა | 3 470,00 | - | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 |
| ბარათის გამოყენების რაოდენობა | 0 | - | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვადაგადაცილებული თანხა | 0,00 | - | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ნაშთი | 2 673,99 | - | 964,23 | 968,43 | 912,35 | 0,00 |

| | | | | | | |
|---|----------------|---------------|---------------|---------------|----------------|----------------|
| სესხის მიმდინარე გადასახდელი ძირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირითადი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | 43,58 | - | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| გადახდილი ჯარიმა | 43,58 | - | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| თარიღი | 12/2016 | 1/2017 | 2/2017 | 3/2017 | 4/2017 | 5/2017 |
| სესხის საწყისი თანხა | 3 470,00 | 3 470,00 | 0,00 | 0,00 | 3 470,00 | 3 470,00 |
| ბარათის გამოყენების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვადაგადაცილებული თანხა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ნაშთი | 2 634,03 | 2 002,32 | 1 814,28 | 1 381,92 | 1 312,82 | 981,68 |
| სესხის მიმდინარე გადასახდელი ძირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირითადი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | 43,58 | 43,58 | 0,00 | 0,00 | 43,58 | 43,58 |
| გადახდილი ჯარიმა | 43,58 | 43,58 | 0,00 | 0,00 | 43,58 | 43,58 |
| თარიღი | 6/2016 | 7/2016 | 8/2016 | 9/2016 | 10/2016 | 11/2016 |
| სესხის საწყისი თანხა | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 |
| ბარათის გამოყენების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვადაგადაცილებული თანხა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ნაშთი | 1 410,85 | 1 308,15 | 1 242,44 | 1 380,94 | 2 138,04 | 2 849,93 |
| სესხის მიმდინარე გადასახდელი ძირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირითადი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| გადახდილი ჯარიმა | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| თარიღი | 12/2015 | 1/2016 | 2/2016 | 3/2016 | 4/2016 | 5/2016 |
| სესხის საწყისი თანხა | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 | 3 470,00 |
| ბარათის გამოყენების რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვადაგადაცილებული თანხა | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ნაშთი | 0,00 | 0,00 | 0,00 | 1 650,01 | 1 562,96 | 1 344,81 |
| სესხის მიმდინარე გადასახდელი ძირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირითადი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| გადახდილი ჯარიმა | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 | 43,58 |
| თარიღი | 6/2015 | 7/2015 | 8/2015 | 9/2015 | 10/2015 | 11/2015 |
| სესხის საწყისი თანხა | - | - | - | - | 3 470,00 | 3 470,00 |
| ბარათის გამოყენების რაოდენობა | - | - | - | - | 0 | 0 |
| ვადაგადაცილებული თანხა | - | - | - | - | 0,00 | 0,00 |
| ნაშთი | - | - | - | - | 692,17 | 71,01 |
| სესხის მიმდინარე გადასახდელი ძირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირითადი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | - | - | - | - | 43,58 | 43,58 |
| გადახდილი ჯარიმა | - | - | - | - | 43,58 | 43,58 |

| თარიღი | 12/2014 | 1/2015 | 2/2015 | 3/2015 | 4/2015 | 5/2015 |
|---|---------|--------|--------|--------|--------|--------|
| სესხის საწყისი თანხა | - | - | - | - | - | - |
| ზარათის გამოყენების რაოდენობა | - | - | - | - | - | - |
| ვადაგადაცილებული თანხა | - | - | - | - | - | - |
| ნაშთი | - | - | - | - | - | - |
| სესხის მიმდინარე გადასახდელი პირითადი თანხა | - | - | - | - | - | - |
| მიმდინარე ვადაგადაცილებული ძირი | - | - | - | - | - | - |
| ჯარიმის თანხა | - | - | - | - | - | - |
| გადახდილი ჯარიმა | - | - | - | - | - | - |

საკრედიტო რეპორტის დასასრული

რეპორტის გაცემის თარიღი:

13.11.2020

სს `კრედიტინფო საქართველო` თარხნიშვილის ქ. 2, 0179 თბილისი; ტელ/ფაქსი: (+995 32) 262 35 55; Email: info@creditinfo.ge



**შემოსავლების
სამსახური**

თბილისი 0160, მ. კოსტავას №68ა
/ ს. ჩიქოვანის №2
ტელ: +995 (32) 226 21 40
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

შემოსავლების დეპარტამენტი

144761-21-11-2-202011131739

N 21-11/144761



13/11/2020

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მოსამართლის საქმიანობის
შეფასების მართვის დეპარტამენტის
უფროსს ქალბატონ თინათინ აბრალავას

მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12


თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N1170-03 წერილის პასუხად, შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, გაცნობებთ, რომ 13.11.2020 წლის მდგომარეობით, რევაზ ნადარაიას (პ/ნ 29001001599) ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.

შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, 13.11.2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ.ა. ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას რევაზ ნადარაიას (პ/ნ 29001001599) მიერ 2017 წლის ოქტომბრიდან მიღებული შემოსავლების შესახებ (იხ. დანართი).

ლევან დგებუაძე

დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის



თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი:

რევაზ ნადარაია

#127094

თანამდებობის პირის დეკლარაცია ჩაბარებულია: 15.08.2020

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

თბილისის სააპელაციო სასამართლო, მოსამართლედაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, მარტვილი 11.08.1979

თქვენი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, (გერი), თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირი) მონაცემები

| სახელი | გვარი | დაბადების ადგილი | დაბადების რიცხვი, თვე, წელი | ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი |
|---------|----------|--------------------------|-----------------------------|--------------------------------|
| ნანა | ციკოლია | საქართველო, გალის რაიონი | 05.04.1983 | მეუღლე |
| ანდრია | ნადარაია | საქართველო, თბილისი | 11.10.2015 | შვილი |
| ნიკოლოზ | ნადარაია | საქართველო, თბილისი | 22.04.2017 | შვილი |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

| ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი) | ქონების სახეობა | შეძენის თარიღი | შეძენის ფორმა | გადახდილი საფასურის ოდენობა | ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი | თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი) |
|---|--------------------------------|----------------|--|-----------------------------|--|---|
| რევამ ნადარაია 100% | საცხოვრებელი სახლი | 2017 | აშენბა | 100000USD | საქართველო, თბილისი, სოფელი დილომი, 332,8 კვ.მ | |
| რევამ ნადარაია 33% | საცხოვრებელი სახლი | 2011 | აშენდა დაახლოებით 1990 წელს | 0GEL | საქართველო, მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი ჭყონი, 197 კვ.მ | დენიზა გვილავა რეზო ნადარაია |
| რევამ ნადარაია 33% | მიწის ნაკვეთი | 2011 | საარქივო ცნობის საფუძველზე | 0GEL | საქართველო, მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი ჭყონი, 4020 კვ.მ | დენიზა გვილავა რეზო ნადარაია |
| რევამ ნადარაია 33% | მიწის ნაკვეთი | 2016 | საარქივო ცნობის საფუძველზე | 0GEL | საქართველო, მარტვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიდი ჭყონი, 2480 კვ.მ | დენიზა გვილავა რეზო ნადარაია |
| რევამ ნადარაია 100% | ბინა | 2004 | ნასყიდობა | 21000GEL | საქართველო, თბილისი, თევდორე მღვდლის პირველი ჩიხი №7, 82,06 კვ.მ | |
| რევამ ნადარაია 100% | მიწის ნაკვეთი | 2014 | ნასყიდობა | 32700USD | საქართველო, თბილისი, სოფელი დილომი, 546 კვ.მ | |
| რევამ ნადარაია 100% | არასაცხოვრებელი ფართი (სხვენი) | 2015 | სხვენი შეძენილი იქნა ბინასთან ერთად, თუმცა | 0GEL | საქართველო, ქ.თბილისი, ქ.თბილისი, თევდორე | |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

| ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი) | ქონების სახეობა | შეძენის თარიღი | შეძენის ფორმა | გადახდილი საფასურის ოდენობა | ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი | თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი) |
|---|-----------------|----------------|-------------------------|-----------------------------|---|---|
| | | | დარეგისტრირდა 2015 წელს | | მღვდლის პირველი ჩიხი №7, 61,74 კვ.მ | |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს

| ქონების მესაკუთრის სახელი, გვარი (თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ მფლობელის პროცენტული წილი) | ქონების სახეობა | ქონების დეტალები | შეძენის თარიღი | შეძენის ფორმა | გადახდილი საფასურის ოდენობა | თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები (თუ თანამესაკუთრე თქვენი ოჯახის წევრია მიუთითეთ მისი პროცენტული წილი) |
|---|---------------------|--------------------------------------|----------------|---------------|-----------------------------|---|
| ნანა ციკოლია 100% | მსუბუქი ავტომანქანა | HYUNDAI TUCSON, გამოშვების წელი 2011 | 2019 | ნასყიდობა | 8000 USD | |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები

| მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი) | ფასიანი ქაღალდის ემიტენტი | ფასიანი ქაღალდის სახეობა | ფასიანი ქაღალდის გადახდილი საფასური | შეძენის ფორმა | შეძენის თარიღი | ფასიანი ქაღალდის ნომინალი | ფასიანი ქაღალდების რაოდენობა |
|------------------------------------|---------------------------|--------------------------|-------------------------------------|---------------|----------------|---------------------------|------------------------------|
|------------------------------------|---------------------------|--------------------------|-------------------------------------|---------------|----------------|---------------------------|------------------------------|

მონაცემებს არ შეიცავს

საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება გაქვთ თქვენ, თქვენი ოჯახის წევრს

| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა | ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი |
|---|--|-----------------------------------|--|
| რევამ ნადარაია | ლიბერთი ბანკი | სახელფასო | 946,51 GEL (+) |
| რევამ ნადარაია | „ვი-თი-ბი ბანკი | საკრედიტო | 7867,07 GEL (+) |
| რევამ ნადარაია | თი-ბი-სი ბანკი | მიმდინარე | 107,7 GEL (+) |
| ნანა ციკოლია | ლიბერთი ბანკი | დეპოზიტი | 207,15 GEL (+) |
| რევამ ნადარაია | "თი-ბი-სი ბანკი" | მიმდინარე | 228,78 USD (+) |
| რევამ ნადარაია | "საქართველოს ბანკი" | სახელფასო | 310,92 GEL (+) |
| რევამ ნადარაია | "საქართველოს ბანკი" | საკრედიტო | 7054,56 GEL (+) |
| რევამ ნადარაია | "საქართველოს ბანკი" | დეპოზიტი | 1144,54 USD (+) |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 10 000 ლარს

| | | |
|--|--|---------------------|
| ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი) | ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში | ფულადი თანხის წყარო |
|--|--|---------------------|

მონაცემებს არ შეიცავს

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში

| <p>სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი)</p> | <p>საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი</p> | <p>საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა და მონაწილეობის დროის მონაკვეთი, მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი.</p> | <p>საკუთარი წილის ოდენობა (%)</p> | <p>პარტნიორის ვინაობა (სახელი, გვარი/იურიდიული პირი)</p> | <p>საწარმოს საქმიანობით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელზე აღებული თანხა)</p> |
|---|--|--|-----------------------------------|--|--|
|---|--|--|-----------------------------------|--|--|

მონაცემებს არ შეიცავს

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში (დაკავშირებული საწარმოები)

| ძირითადი საწარმოს საფირმო სახელწოდება და სამართლებრივი ფორმა | არაძირითადი საწარმოს დასახელება და სამართლებრივი ფორმა | არაძირითადი საწარმოს საქმიანობის სახეობა | ძირითადი საწარმოს წილის ოდენობა (%) | არაძირითადი საწარმოს პარტნიორები |
|--|--|--|-------------------------------------|----------------------------------|
|--|--|--|-------------------------------------|----------------------------------|

მონასწეუმებს არ შეესაბამება

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

| სამუშაოს შესრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ეკავა თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს | თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი | საწყისი თარიღი | საბოლოო თარიღი | სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი (ხელზე აღებული თანხა) |
|--|---|--|----------------|----------------|--|
| რევაზ ნადარაია | თბილისის სააპელაციო სასამართლო | მოსამართლე | 01.01.2019 | 31.12.2019 | 74324,83 GEL |
| რევაზ ნადარაია | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | წევრი | 01.01.2019 | 31.12.2019 | 12230,4 GEL |

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დადებული ან/და მოქმედი ხელშეკრულება (გარდა მიღებული საჩუქრისა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის წილის მინდობის ხელშეკრულება ღირებულების მიუხედავად)

| ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | ხელშეკრულების სახეობა, საგანი და ღირებულება | ხელშეკრულების დადების თარიღი, ძალაში შესვლის თარიღი, მისი მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება | წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი |
|---|---|--|--|
| რევაზ ნადარაია | სესხი, საკრედიტო ბარათი, 8925, GEL | 22.03.2013, 27.03.2013-31.12.2022, ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია | 7382,9 GEL (გასაფალი) |
| რევაზ ნადარაია | სესხი, საკრედიტო ბარათი, 7500, GEL | 18.02.2018, 18.02.2018-01.02.2023, საქართველოს ბანკი | 8823,25 GEL (გასაფალი) |
| რევაზ ნადარაია | სესხი, კრედიტის გაცემა, 92000, USD | 17.10.2018, 17.10.2018-01.06.2035, საქართველოს ბანკი | 11188,86 USD (გასაფალი) |

თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს

| საჩუქრის მიმღები | საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება | გამცემის მიმღებთან კავშირი |
|------------------|--|----------------------------|
| ნანა ციკოლია | ფულადი თანხა 1500 GEL | ბაბუა |

წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით თქვენი ან თქვენი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს ან გასავალი, რომლის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს და არ არის მითითებული დეკლარაციის სხვა ფურცლებზე.

| შემოსავლის/გასავლის მიმღები/გამცემი პირის ვინაობა (სახელი გვარი) | შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა | შემოსავლის ან/და გასავლის ოდენობა (ღირებულება) |
|---|-----------------------------------|--|
|---|-----------------------------------|--|

მონაცემებს არ შეიცავს



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 664995
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13096180
ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/10/2013 18:01:45

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: ნადარაიათა საგვარეულო კავშირი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში,
ბურძღვას ქ., №74-74ა-74ბ, ბინა №67
ელექტრონული ფოსტა: kakhanad@yahoo.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 405016183
სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სახელმწიფო რეგისტრაციის
თარიღი: 28/10/2013
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა
მართველობითი ორგანო: საერთო კრება, გამგეობა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01024036576, კახა ნადარაია,
გამგეობის თავმჯდომარე, , /გამგეობის წევრი
- 01010010806, ზურაბ ნადარაია,
, , გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე/გამგეობის წევრი
- 01008026276, ელიზბარ ნადარაია,
გამგეობის წევრი, ,
- 01024011765, ნუგზარ ნადარაია,
გამგეობის წევრი, ,
- 29001002197, ედიშერ ნადარაია,
გამგეობის წევრი, ,
- 29001029307, ფაუსტი ნადარაია,
გამგეობის წევრი, ,
- 29001035293, გელა ნადარაია,
გამგეობის წევრი, ,

- 29001001599, რევაზ ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 60002005417, კობა ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 35001099068, ზურაბ ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 19001039019, მალხაზ ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 01024006654, დავით ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 19001014073, ნუკრი ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 62001034768, ბექანი ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 39001024153, აბესალომი ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 01019057674, გოგიტა ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 01002024600, გია ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 01029001853, მერაბ ნადარაია, გამგეობის წევრი, ,
- 01028001164, ფრიდონ ნადარაია, გამგეობის წევრი, ,

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება:
<http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.



h. ნაყახო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA




MIA 5 20 02669195



13/11/2020

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების
მართვის დეპარტამენტს

თქვენი ამა წლის 10 ნოემბრის №1171-03 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების ძენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ 2015 წლის 23 იანვრის შს მინისტრის N53 ბრძანების შესაბამისად, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში მოსამართლეობის კანდიდატებს:



2017 წლის 11
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
სამართლის საქმიანობის შეფასების
მართვის დეპარტამენტი
№ 3050
17 11 2020



ნოემბრიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტები არ
ერიცხებათ.

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის დირექტორი
ლოლა ცოტნე



რევაზ ნადარაია (პ/ნ 29001001599) არ ირიცხება.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დამოუკიდებელი ინსპექტორი

№ 865-03

“13” 11 2020.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების
მართვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N35-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის 37 კანდიდატის მიმართ 2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში დისციპლინური დევნის შესახებ ინფორმაციას.

დანართი: 74 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
დამოუკიდებელი ინსპექტორი
№ 40-03
“13” 11 2020

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მოსამართლე რევაზ ნადარაიას მიმართ
არსებული დისციპლინური საჩივრების შესახებ

2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე რევაზ
ნადარაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი





საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 42-03
13.11.2008

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 34²-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ.

დანართი: 37(ოცდაჩვიდმეტ) ფურცელზე

ვალერიან გავაშელი

სამოსამართლო ეთიკის
დეპარტამენტის უფროსი


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მოსამართლე რევაზ ნადარაიას მიმართ
არსებული დისციპლინური საჩივრების შესახებ

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე რევაზ ნადარაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და მის მიმართ დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ზომა გამოყენებული არ ყოფილა.

ვალერიან გავაშელი



სამოსამართლო ეთიკის
დეპარტამენტის უფროსი



h. ნაძიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 44/37-03

„20“ 11 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 37-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლეობის კანდიდატების სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ
მონაწილეობის შესახებ, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში მოძიებულ
ინფორმაციას.

პატივისცემით,

ირაკლი გოცირიძე ი. გ.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმართულ დავებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ რევაზ ნადარაიას მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საბიუჯეტო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.



საქართველოს პროკურატურა
 საქართველოს გენერალური პროკურატურა
 Prosecution Service of Georgia
 Office of the Prosecutor General of Georgia



საქართველოს პროკურატურა


№ 1306507

20 / ნოემბერი / 2020 წ.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
 წინამძღოლის საქმიანობის შეფასების ძარღვის
 ფუნქციონირების უწყრობის
 ქაღალდის თიხათი ამბობიდან
 წინ ქ თბილისი, ნოემბრის ქ. № 1

ქაღალდით თიხათი

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის № 172-02 განცხადების პასუხად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს
 წინამძღოლის საქმიანობის შეფასების ძარღვის ფუნქციონირების უწყრობის ამბობიდან
 ქაღალდით თიხათი ამბობიდან



3130
 20 11 20



ჩვენ შეგნებს განგაძრუდამი მოთხოვნულ სხვა დეტალებს, მათ შორის მატრიცის დეტალებს ამოხსენილი ინფორმაცია არ მოსთვება

საუბრისთვის

ინფორმაცია განმარტების გარეშად



მადლობა



გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

14 მარტი, 2014 წელი

ქ. ფოთი

ფოთის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე - რევაზ ნადარაია
სხდომის მდივანი - ნანა შამათავა

პროკურორების - ე----- ბ-----, გ----- მ-----
ბრალდებულ - დ----- კ-----
ადვოკატ - ნ----- კ-----
მონაწილეობით,

საჯარო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებისა გამო:

დ----- ბ----- მე კ----- მიმართ, დაბადებული 1--- წლის 0- მ----, პირადი №----
-----, საქართველოს მოქალაქე, ს-----, ნასამართლობის არ მქონე, მცხოვრები:
ქ.ზუგდიდი, ბ----- ქ.№---ში, ამჟამად ქუთაისის №2-ე საპყრობილის პატიმარი,
დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5
ნაწილით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დ----- კ----- ბრალი
ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის
დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია
ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 12 ოქტომბერს, დაახლოებით 09:20 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის
სოფელ შ--- ხ-----, “მერსედეს ბენცის” მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო
ნომრით X-----, 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა დ----- კ----- შენიშნა ქვეითად
მოძრავი მცირეწლოვანი ლ---- მ-----, რომელიც საავტომობილო გზას კვეთდა
ავტომობილის მოძრაობის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ, ხოლო ავტომანქანის
შემჩნევის შემდეგ შემობრუნდა და დაიწყო უკან დაბრუნება და დაარღვია რა

”საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, ნაცვლად იმისა, რომ მიეღო შესაძლო ზომები მოძრაობის სიჩქარის შესამცირებლად სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე, დაიწყო მანევრული მოძრაობა მისი სამოძრაო ზოლის საპირისპირო მხარეს და გზის გამყოფ ღერძულა ხაზზე შეეჯახა 2004 წლის 0- მ---- დაბადებულ, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შ--- ხ----- მცხოვრებ ლ---- მ-----ს, რასაც შედეგად მოჰყვა ამ უკანასკნელის სიცოცხლის მოსპობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ---- კ----- წარედგინა ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

სასამართლომ გაანალიზა რა მის წინაშე წარმოდგენილი და საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებები, მიიჩნევს, რომ ბრალდებული დ---- კ----- უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მოცემულ საქმეში კი არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები ბრალდების მხარის იმ ვერსიის უტყუარად დასადასტურებლად, რომლის მიხედვით, დ---- კ----- ჩაიდინა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, სახელდობრ:

ბრალდებულმა დ---- კ----- თავი დამნაშავედ არ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ 2013 წლის 12 ოქტომბერს მისი ბიძის კუთვნილი ა/მანქანა ”მერსედეს ბენციტ”, სახ. ნომრით X-----, მოძრაობდა ქ.ზუგდიდიდან ქ.ბათუმის მიმართულებით ნათესავებთან ერთად. სოფელ შ--- ხ-----, მდინარის ხიდზე გადასვლისას, რომელზეც არის ცუდი გადასასვლელი, შეანელა სვლა, ხიდზე გადასვლის შემდეგ გააგრძელა მოძრაობა, მოძრაობდა დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით, რა დროსაც მისი სავალი გზის საპირისპირო სავალ ნაწილზე ნახა ხობის მიმართულებით გაჩერებული მ/ავტობუსი, რომელიც სანახევროდ იყო გადასული გზის გვერდულზე. როდესაც მ/ავტობუსის წინა მხარეს მიუახლოვდა, მ/ავტობუსის უკანა მხრიდან, მისგან დაახლოებით 5 მეტრის მანძილზე ბავშვმა დაიწყო გადმორბენა სწრაფი სირბილით. როგორც კი ბავშვი დაინახა, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შეჯახება, ერთდროულად საჭეს მოუხვია მარცხნივ და დაამუხრუჭა, მაგრამ როდესაც ბავშვმა მისი მანქანის სავალი გზის შუა ნაწილამდე მიიღწია, დაბრუნდა უკან და იგივე ტემპით გააგრძელა უკან სირბილი, რა დროსაც მოხდა შეჯახება ღერძულა ხაზთან მის სამოძრაო ზოლში. შეჯახების მომენტში მისი მანქანა სანახევროდ იყო გადასული საპირისპირო ზოლში, ხოლო შეჯახება მოხდა მანქანის წინა მარჯვენა ნაწილით.

(იხ. 29.01.2014 წ. 15:13:14-15:41:35 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი----- მ-----მ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ 2013 წლის 12 ოქტომბერს დაახლოებით დილის 09:00 საათზე, ზუსტად არ ახსოვს, დაურეკა მის შვილს ლ---- მ-----ს, თუმცა მან არ უპასუხა, მან კვლავ რამდენიმეჯერ დაურეკა ლ----ს, ასევე რეკავდა სახლის ტელეფონზე, თუმცა არავინ პასუხობდა. საბოლოოდ მას უპასუხა მისმა მცირეწლოვანმა შვილმა დ---- მ-----მ, რომელმაც უთხრა, რომ ლ----ს მანქანა დაეჯახა და ხობში წაიყვანეს. ის დაუყოვნებლივ წავიდა თავის სახლში. როდესაც მივიდა, დაინახა თავის სახლის სიახლოვეს მდგარი „მერსედესის“ მარკის ა/მანქანა, რომლის სახ. ნომერი იყო 5--. მან მოინდომა საავადმყოფოში წასვლა, თუმცა არ გაუშვეს, რამდენიმე წუთში კი მისი შვილი გარდაცვლილი მიიყვანეს სახლში. მომხდარ ფაქტს ა/მანქანა „მერსედესის“ მგზავრების და მისი დედის გარდა არავინ შესწრებია. მისი დედისგან გადმოცემით იცის, რომ დედა დახვდა მ/ავტობუსს, რომელსაც მისთვის გოდორი უნდა მიეტანა, მივიდა მძღოლის მხარეს, მძღოლმა სთხოვა, რომ უკნიდან თვითონ გადმოეტანა გოდორი და კარები დაეხურა. მძღოლთან საუბრის დროს ნახა, რომ ლ---- გადავიდა სახლის ეზოდან და მიდიოდა ხრეშიან გზაზე, რა დროსაც მიაძახა ბავშვს, თუ სად მიდიოდა, ბავშვმა უპასუხა, რომ მიდიოდა მეზობლის, შ--- თ----- სახლში, რა დროსაც დედამ დაასრულა მძღოლთან საუბარი და გაემართა მ/ავტობუსის უკანა კარისკენ გოდორის გადმოსატანად. იმ დროს, როდესაც გოდორი უნდა გადმოეტანა, გაიგო ძლიერი ხმა, რომ მიიხედა, ნახა, რომ ბავშვი ზევით იყო ავარდნილი, რის შემდეგ მიიბრინა ბავშვთან და ცდილობდა მის დახმარებას. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ ასევე განმარტა, რომ შემთხვევიდან დაახლოებით 10-15 დღის შემდეგ გაზომა მანძილი მისი ჭიშკრიდან იმ ადგილამდე, სადაც ბავშვი იწვა და აღმოჩნდა, რომ მანძილი იყო 38 მეტრი.

(იხ. 11.12.2013 წ. 15:31:40-15:41:26 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმე მ----- მ-----მ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ 2013 წლის 12 ოქტომბერს დილით დახვდა სოფელ ყ----- ხობისკენ მიმავალ მ/ავტობუსს, რომლის მძღოლს, თ---- ბ----- მისთვის უნდა გადაეცა გოდორი. თ----მა მ/ავტობუსი გააჩერა მისი ჭიშკრის წინ ხრეშიან გზაზე, ისე, რომ მ/ავტობუსი მთლიანად გადასული იყო გვერდულზე. თ----მა ანიშნა, რომ მის მხარეს, კარებთან მისულიყო, მივიდა თ----თან, რომელმაც უთხრა, რომ უკანა კარი გაეღო და გოდორი თვითონ გადაეტანა. ამის შემდეგ მივიდა უკანა კართან, რა დროსაც ნახა, რომ ლ---- მიდიოდა, ჰკითხა თუ სად მიდიოდა, ლ----მ უპასუხა, რომ მეზობლის, შ--- თ----- სახლში მიდიოდა, მან დაუძახა, რომ ჰკვიანად ყოფილიყო და ბავშვი წავიდა, თვითონ მიბრუნდა, გაალო მ/ავტობუსის კარი, რა დროსაც გაიგო

დაჯახების ხმა, გაიხედა უკან და ნახა ზევით ავარდნილი ბავშვი, რომელიც დაეცა და დაგორდა ხრეშიან გზაზე. შემთხვევის შემდეგ, მოგვიანებით მის შვილთან, ი----- მ-----სთან ერთად გაზომა მანძილი მ/ავტობუსის უკანა ნაწილიდან იმ ადგილამდე, სადაც ლ----- იწვა დაჯახების შემდეგ და მანძილი აღმოჩნდა 38 მეტრი. მოწმემ ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ ფაქტს მხოლოდ თვითონ შეესწრო, სხვა ვინმე არ შესწრებია, ნახა მხოლოდ დაჯახების შემდგომი ფაქტი, შეჯახების მომენტი არ უნახავს, მიიხედა შეჯახების ხმაზე და ნახა მხოლოდ უკვე ზევით ავარდნილი ბავშვი, რა დროსაც „მერსედესის“ მარჯის ა/მანქანა მისი სამოდრაო ზოლიდან გადასული იყო საპირისპირო ზოლში და მოძრაობდა გზის შუა ნაწილში. მას არ გაუგია მუხრუჭის ხმა და ა/მანქანა „მერსედესის“ მძღოლს შეჯახებისას არ დაუმუხრუჭებია, თუმცა მანქანა დაჯახებისთანავე, იქვე გაჩერდა ხრეშიან გზაზე. მას მანქანა, რომელიც ლ-----ს დაეჯახა, დაჯახებამდე არ უნახავს.

(იხ. 11.12.2013 წ. 15:46:28-16:05:31 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმე თ----- ბ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის მ/ავტობუსის მძღოლი. 2013 წლის 12 ოქტომბერს დილით მივიდა მისი კუთვნილი მ/ავტობუსით მ----- მ-----ს სახლთან, იმისათვის, რომ გადაეცა მისთვის გოდორი. მ/ავტობუსი ჭიშკართან გააჩერა ისე, რომ მ/ავტობუსის მარცხენა მხარე დაახლოებით 20 სანტიმეტრით დარჩენილი იქნებოდა სავალ ნაწილზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადასული იყო გვერდულზე. მ----- მ----- მივიდა მასთან, მის მხარეს, კარებთან, რომელსაც უთხრა, რომ უკნიდან გოდორი თვითონ გადმოეტანა და კარები ნელა დაეხურა, რის შემდეგ მ----- უცებ წავიდა გოდორის გადასატანად, რომელმაც გაალო უკანა კარები, რა დროსაც გაიგო შეჯახების ხმა, ისე, რომ მუხრუჭის ხმა არ გაუგია, რაზეც დაუყოვნებლივ გადავიდა მ/ავტობუსიდან და დაინახა წაქცეული ბავშვი სავალი ნაწილის გვერდით, ასევე დაინახა გაჩერებული „მერსედესის“ მარჯის ა/მანქანა, რომელიც იდგა ამავე ა/მანქანის სამოდრაო ზოლის საპირისპირო ზოლში, სავალი ნაწილის ბოლოს, მოასფალტებული გზის დასასრულს, ბავშვიდან დაახლოებით ერთი მეტრის დაშორებით, ხოლო მისი მ/ავტობუსიდან დაახლოებით 30 მეტრის დაშორებით. იმ დროს, როდესაც მ----- მ----- წავიდა უკანა მხარეს, გოდორის გადმოსატანად, ნახა, რომ ბავშვმა გამოირბინა სახლიდან და გაიქცა წყლის საწრეტი არხის გასწვრივ, მისი მ/ავტობუსის უკანა მხარის მიმართულებით, ბავშვის სხვა გადაადგილება არ უნახავს. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მას არ დაუნახავს მისი მოძრაობის საპირისპირო ზოლში მოძრავი „მერსედესის“ მარჯის ა/მანქანა, აღნიშნული ა/მანქანა ნახა გაჩერებული, მას შემდეგ, რაც გაიგო შეჯახების ხმა და გადმოვიდა თავისი მ/ავტობუსიდან, მისივე განმარტებით მას ასევე არ უნახავს შემთხვევის ფაქტი.

(იხ. 11.12.2013 წ. 16:10:08-16:34:53 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ზ----- გ----- საქმის არსებითი

განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ი----- ს----- უფროსის მოადგილე. 2013 წლის 13 ოქტომბერს მის სამსახურში მიღებული იქნა ხ----- სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის მ----- ქ----- მიერ გამოტანილი დადგენილება ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. დადგენილებას ერთვოდა სისხლის სამართლის საქმის ასლები, რის საფუძველზე მან ჩაატარა ავტოტექნიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის ჩატარებისას გამოყენებული იქნა ის მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ ავტოტექნიკური ექსპერტები. იმის დასადგენად, თუ რა მანძილი იყო ქვეითის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტიდან ქვეითსა და ა/მანქანას შორის, დადგენილი უნდა იქნეს სამი გარემოება, კერძოდ: ა/მანქანის მოძრაობის სიჩქარე, ქვეითის მიერ გავლილი მანძილი და ქვეითის ტემპის დინამიკა. გამოძიებით დადგენილი იყო, რომ ავტომობილი „მერსედესი“ მოძრაობდა მარჯვენა სამოძრაო ზოლში, დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო მცირეწლოვანი ბავშვი საავტომობილო გზას კვეთდა მარცხნიდან მარჯვნივ, მიიბრინა გზის სავარაუდოდ შუა ნაწილამდე, შემდეგ ავტომობილის დანახვისთანავე დაბრუნდა უკან და სადღაც ღერძულა ხაზთან მოხდა ბავშვზე შეჯახება. სიარულს აქვს სამი დინამიკა, ხოლო სირბილს აქვს ორი დინამიკა, სირბილი და სწრაფი სირბილი. ექსპერტიზის ჩატარებისას, მძღოლის მხედველობის არეში ქვეითის გამოჩენის მომენტიდან ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილის გამოთვლისას, ბავშვის სირბილის ტემპად აღებულ იქნა ნელი სირბილის დროს 9 წლის ასაკის ბავშვისათვის ექსპერტებისათვის სახელმძღვანელო ცხრილით გათვალისწინებული სიჩქარე - 9 კმ/სთ, გამომდინარე იქიდან, რომ საქმის მასალებში სწრაფ სირბილზე მითითებული არ იყო, მითითებული იყო, რომ ბავშვი გზას კვეთდა სირბილით, მხოლოდ ბრალდებული უთითებდა თავის ჩვენების დასაწყისში სწრაფ სირბილზე, რაც არ იქნა გათვალისწინებული. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დაადგინა, რომ, როდესაც ბავშვმა დაიწყო გზაზე გადარბენა, ბავშვსა და ავტომობილს შორის მანძილი იყო 47,3 მეტრი, ხოლო 60 კმ/საათი სიჩქარით მიმავალ ა/მანქანას სრული გაჩერებისათვის ესაჭიროებოდა 38 მეტრი. გამომდინარე იქიდან, რომ ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის საჭირო მანძილი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე გზაზე ბავშვის გადარბენის დაწყების მომენტიდან ბავშვსა და ა/მანქანას შორის მანძილი, დაასკვნა, რომ კონკრეტულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მძღოლს შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ქვეითის მოძრაობის ტემპის დინამიკის შეცვლის შემთხვევაში იცვლება მძღოლის მხედველობის არეში ქვეითის გამოჩენიდან ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილი. მოცემულ საქმეზე, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზით გათვალისწინებული ნელი სირბილის ტემპი შეიცვლება სწრაფი სირბილის ტემპით, შეიცვლება ბავშვის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტიდან შეჯახების ადგილსა და ა/მანქანას შორის მანძილი, ვინაიდან, სწრაფი სირბილის შემთხვევაში ექსპერტებისათვის სახელმძღვანელო ცხრილის მიხედვით 9 წლის ასაკის ბავშვის სირბილის სიჩქარე არის 13,1 კმ/სთ. ამ შემთხვევაში ბავშვის მიერ გზის გადაკვეთის

დაწყების მომენტიდან ბავშვსა და ა/მანქანას შორის მანძილი იქნებოდა 32,5 მეტრი. 60 კმ/საათი სიჩქარით მიმავალ ა/მანქანას სრული გაჩერებისათვის ესაჭიროებოდა 38 მეტრი. თუ დადგინდება, რომ ბავშვი სწრაფი სირბილით გადარბოდა, ა/მანქანასა და ბავშვს შორის მანძილი იქნება 32,5 მეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის საჭირო მანძილი უფრო მეტია, ვიდრე ა/მანქანასა და ბავშვს შორის მანძილი. ასეთ შემთხვევაში მის მიერ გაცემულ დასკვნას სხვა სახე ექნებოდა, ვინაიდან, მძღოლი ვერ შეძლებდა მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას.

(იხ. 25.12.2013 წ. 16:49:05-17:20:12 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა მ----- ქ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის ხ----- სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი. აღნიშნულ საქმეზე შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება, დანიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ალკოტესტით შეამოწმა ბრალდებული დ----- კ-----, რომელიც არ აღმოჩნდა ნასვამი, დაკითხა მოწმის სახით, შემდეგ დააკავა ბრალდებულის სახით, დანიშნა ტრასოლოგიური ექსპერტიზა, ავტოტექნიკური ექსპერტიზა, დაკითხა არასრულწლოვანი მოწმე, ბრალი წაუყენა ბრალდებულს და დაკითხა ბრალდებულის სახით. გამოძიების მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული ის, რომ დ--- -- კ----- მართავდა ავტომობილს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შ--- ხ----- - ტერიტორიაზე, მცირეწლოვანმა ლ----- მ-----მ გადაკვეთა სამოდრაო ზოლი, მივიდა სამოდრაო ზოლის შუა ნაწილამდე, შემდეგ ისევ დაბრუნდა უკან, სადაც ღერძულა ხაზთან დ----- კ----- მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი მარჯვენა ნაწილით შეეჯახა მას, რის შედეგად ის გარდაიცვალა. გამოძიების მიერ გაზიარებული და დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ „მერსედესის“ მძღოლი მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით, რადგან ყველა მოწმე აღნიშნულზე მიუთითებდა. ასევე გაზიარებული იქნა ის, რომ ქვეითი მოძრაობდა ჩვეულებრივი სირბილით, რადგან მოწმეები უთითებდნენ, რომ ბავშვმა გადაირბინა, ბრალდებულმა კი დაკითხვისას პირველად განაცხადა, რომ ბავშვმა გადაირბინა სწრაფი სირბილით, შემდეგ კი განაცხადა, რომ გადაირბინა, მანვე განაცხადა, რომ როცა დაბრკოლება ნახა, მოუხვია მარცხნივ და დაიწყო დამუხრუჭება საფრთხის ასაცილებლად. გამომძიებელმა ასევე განმარტა, რომ ბრალდებულის დაკითხვისას მისთვის ცნობილი იყო განსხვავება სწრაფ სირბილსა და ჩვეულებრივ სირბილს შორის, რაც მიაჩნდა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებად და ბავშვის სირბილის ტემპის დასაკონკრეტებლად შეკითხვა დაუსვა ბრალდებულს. მანვე განმარტა, რომ მისთვის უცნობია, რომ არსებობს სირბილის ნელი ტემპი და სწრაფი ტემპი.

(იხ. 25.12.2013 წ. 17:23:47-17:40:12 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა ლ--- კ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის ხ----- სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი. აღნიშნულ საქმეზე მის მიერ დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი. შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე, რომელიც მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შ-- - ხ----- და არის ქ.ხობის და ქ.ფოთის დამაკავშირებელი გზა. შემთხვევის ადგილზე იდგა სედანის ტიპის "მერსედეს ბენცის" მარკის ავტომობილი, რომელიც იყო გადასული საპირისპირო მოძრაობის ზოლზე, გვერდულზე ორი საბურავით და იყო გაჩერებული სწორად, ლ--- მ-----ს ჭიშკრიდან დაახლოებით 35 მეტრში, მანქანა იყო ჩაკეტილი, ლ--- მ----- კი შემთხვევის ადგილზე არ იყო, ასევე არ იყო სამარშრუტო მ/ავტობუსი, რომელიც იდგა მ----- ჭიშკართან. გაჩერებულ მანქანას დაზიანებული ჰქონდა მარჯვენა მაშუქი ფარი და ძრავის სახურავი. მის მიერ შეჯახების ადგილი არ იქნა დაფიქსირებული, რადგან შეჯახების კვალი არ იყო, არც მუხრუჭის კვალი იყო. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილე პირის მითითების საფუძველზე დაფიქსირებული იქნა ადგილი, სადაც იწვა ლ--- მ----- შეჯახების შემდეგ და ეს ადგილი იყო გაჩერებული მანქანიდან სამი მეტრის წინ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მის მიერ ამოღებული იქნა მაშუქი ფარის ნამსხვრევები და პლასტმასის ნატეხი. გამომძიებელმა ასევე განმარტა, რომ მოწმის სახით დაკითხა მ--- ხ-----, ლ--- დ----- და ხ----- ხ-----, რომლებიც ისხდნენ დ--- კ----- მართვის ქვეშ მყოფ "მერსედეს ბენცის" მარკის ა/მანქანაში. მან მოწმეებს ჰკითხა ბავშვი ნელა მიდიოდა, მირბოდა, ხედავდა მათ თუ ვერ ხედავდა, რაზეც მოწმეებმა უპასუხეს, რომ ბავშვი გადარბოდა.

(იხ. 25.12.2013 წ. 17:43:00-17:55:16 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა ა----- მ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის ხ----- სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი. აღნიშნულ საქმეზე მან მოწმის სახით დაკითხა მიკროავტობუსის მძღოლი თ---- ბ-----, ლ--- მ-----ს ბებია მ----- მ----- და დაზარალებულის უფლებამონაცვლის სახით დაკითხა ლ--- მ----- ---ს მამა ი----- მ-----.

(იხ. 25.12.2013 წ. 17:57:49-18:01:01 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა გ--- შ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის ხ----- სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი. აღნიშნულ საქმეზე მოწმის სახით დაკითხა ლ--- ხ----- დაკითხვისას მას დასაკონკრეტებლად დაუსვა შეკითხვა ბავშვი სწრაფი სირბილით გადარბოდა თუ ჩვეულებრივი სირბილით,

რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ბავშვი სირბილით გადარბოდა.

(იხ. 25.12.2013 წ. 18:03:31-18:05:42 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმე მ--- ხ-----მ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ 2013 წლის 12 ოქტომბერს მისი მეუღლის „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომობილით, რომელსაც მართავდა მისი მულის შვილი დ----- კ-----, მიდიოდნენ ბათუმის მიმართულებით. მანქანაში მასთან ერთად ისხდნენ მისი არასრულწლოვანი შვილი, დისშვილი, ძმისშვილი და მული. ხიდს რომ გადავიდნენ, დ----- შეანელა სვლა, ნახეს მარცხენა, მათი მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს გაჩერებული თეთრი ფერის მ/ავტობუსი. დ----- მოუმატა სიჩქარეს, მოძრაობდნენ დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით. როდესაც მათი მანქანა დაუპირისპირდა მ/ავტობუსის წინა მხარეს, სწრაფი სირბილით გადაირბინა ბავშვმა მ/ავტობუსის უკანა მხრიდან, მათგან მარცხნიდან მარჯვნივ, მივიდა მათი სავალი გზის შუა ნაწილამდე, უცებ დაბრუნდა და უკანვე დაიწყო გადარბენა, რა დროსაც დ----- კ----- მოუხვია მარცხენა მხარეს და დაამუხრუჭა, თუმცა მოხდა შეჯახება მანქანის მარჯვენა მხარეს, ღერძულა ხაზთან, მათ სამომდრო ობოლში. ბავშვი ავარდა ძრავის სახურავზე, რის შემდეგ გაჩერდა მანქანა გზის მარცხენა მხარეს, გაჩერების შემდეგ ჩამოვარდა ბავშვი მანქანიდან და დაეცა ასფალტზე, გადაკოტრიალდა და გაჩერდა ასფალტის ბოლოს. გაჩერებისთანავე მივიდნენ ბავშვთან, ითხოვდნენ სასწრაფო დახმარების გამოძახებას, რა დროსაც მივიდნენ პოლიციელები, ბავშვი ჩასვეს მანქანაში და წავიდნენ ხობის საავადმყოფოსკენ. გზაზე შეხვდათ სასწრაფო დახმარების მანქანა, სადაც მოხდა ბავშვის გადაყვანა. მოგვიანებით გაიგო, რომ ლ---- გარდაცვლილი იყო, რის შემდეგ წავიდნენ ხობის სამმართველოში.

(იხ. 29.01.2014 წ. 14:21:31-14:52:18 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმე ხ----- ხ-----მ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ 2013 წლის 12 ოქტომბერს მისი ძმის „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომობილით, რომელსაც მართავდა მისი დის შვილი დ----- კ-----, მიდიოდნენ ზუგდიდიდან ბათუმის მიმართულებით. მანქანაში მასთან ერთად ისხდნენ მ--- ხ-----, ა----- ხ-----, ლ--- ხ-----, ლ---- დ-----. მდინარე ხობისწყლის ხიდს როცა გადავიდნენ, შენიშნა მათი მხრიდან მარცხენა მხარეს მდგარი თეთრი ფერის მ/ავტობუსი, რომელიც გზის სავალი ნაწილიდან სანახევროდ იყო გადასული. მათი მანქანა მოძრაობდა დაახლოებით 60 კმ/სთ სიჩქარით. როცა გაუსწორდნენ მ/ავტობუსის წინა მხარეს, მ/ავტობუსის უკანა მხრიდან სწრაფი სირბილით გადაირბინა ბავშვმა მათი სავალი ნაწილის შუამდე, საიდანაც დაბრუნდა უკან სწრაფი სირბილით. როგორც კი მძღოლმა დაინახა ბავშვი, მარცხენა მხარეს დაატრიალა საჭე და დაამუხრუჭა, თუმცა

დამუხრუჭებისთანავე მოხდა დაჯახება ღერძულა ხაზთან, მათ სამოძრაო ზოლში. ბავშვი ავარდა ძრავის სახურავზე, ძრავის სახურავიდან გადმოგორდა და გვერდულზე დაეცა. ისინი გადავიდნენ მანქანიდან, ის და მ--- ხ----- ცდილობდნენ ბავშვის დახმარებას. ითხოვდნენ, რომ გამოეძახათ სასწრაფო დახმარება, რა დროსაც მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც თავიანთი მანქანით წაიყვანეს ბავშვი საავადმყოფოში, სადაც უთხრეს, რომ ბავშვი გარდაცვლილი იყო.

(იხ. 29.01.2014 წ. 14:56:57-15:11:20 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა დ---- გ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი. ის მთლიანად ეთანხმება მის მიერ გაცემულ დასკვნას. ექსპერტის წინაშე დასმული იყო ოთხი საკითხი 1. საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, რა მანძილი გაირბინა ქვეითადმოსიარულემ, ავტომობილ "მერსედეს ბენცის" მძღოლის მხედველობის არეში, მოძრაობის საფრთხის შექმნის მომენტიდან მასზე ავტომობილის დაჯახებამდე; 2. შეეძლო თუ არა ავტომობილ "მერსედეს ბენცის" მძღოლს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ქვეითზე შეჯახების თავიდან აცილება; 3. იმ შემთხვევაში თუ ქვეითადმოსიარულე ბავშვმა მძღოლის მხედველობის არეში გაირბინა 7,1 მეტრი, როგორც ეს საქმეში არსებულ 2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნაშია აღნიშნული, შეეძლო თუ არა ავტომობილ "მერსედეს ბენცის" მძღოლს ქვეითზე დაჯახების თავიდან აცილება; 4. საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში შეესაბამება თუ არა ავტომობილ „მერსედეს ბენცის“ მძღოლის მოქმედება საქართველოს კანონს "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ". აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ასახული არის დასკვნაში. საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ქვეითადმოსიარულემ ავტომობილ „მერსედეს ბენცის“ მძღოლის მხედველობის არეში გამოჩენიდან დაჯახების მომენტამდე გზის სავალ ნაწილზე სწრაფი სირბილით გაირბინა დაახლოებით 6,0 მეტრი მანძილი, მოცემულ შემთხვევაში შექმნილ საგზაო სიტუაციაში ავტომობილ "მერსედეს ბენცის" მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის - ქვეითზე დაჯახების თავიდან აცილება არ შეეძლო. იმ შემთხვევაში, თუ ქვეითადმოსიარულე ბავშვმა მძღოლის მხედველობის არეში, მასზე ავტომობილის დაჯახების მომენტამდე სწრაფი სირბილით გაირბინა 7,1 მეტრი, როგორც ეს საქმეში არსებულ 2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნაშია აღნიშნული, ავტომობილ „მერსედეს ბენცის“ მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის - ქვეითზე დაჯახების თავიდან აცილება არ შეეძლო. მოცემულ შემთხვევაში შექმნილ საგზაო სიტუაციაში მძღოლის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფა არ აღინიშნება. ავტომობილ "მერსედეს ბენცის"

მძლოლის მხედველობის არეში ბავშვის გამოჩენიდან დაჯახების მომენტამდე გზის სავალ ნაწილზე ქვეითის მიერ სწრაფი სირბილით გარბენილი მანძილი - 6,0 მეტრი, მიღებული იქნა მ/ავტობუსის მძლოლის ჩვენების გათვალისწინებით, სადაც ის განმარტავდა, რომ მ/ავტობუსი 0,5 მეტრით იყო გადასული გზის სავალ ნაწილზე, ხოლო 7,1 მეტრი მიღებული იქნა საქმის მასალებიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მ/ავტობუსი მთლიანად იყო გადასული გზის სავალი ნაწილიდან, ასევე შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური სამმართველოს ექსპერტის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით გამოძიებას აქვს დადგენილად მიჩნეული, რომ ქვეითად მოსიარულემ გაირბინა 7,1 მეტრი. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, მ/ავტობუსიდან თუ რა მანძილით იქნებოდა ბავშვი დაშორებული მ/ავტობუსის უკანა მხარეს, რადგან საფრთხე იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ქვეითად მოსიარულე იწყებს სამოძრაო ზოლის გადაკვეთას. იმ შემთხვევაში, თუ მძლოლს 45 მეტრი და უფრო შორი მანძილიდან შეეძლო საფრთხის დანახვა და მძლოლი არასწორად და დაგვიანებით მიიღებს ზომებს, მძლოლს შეეძლო ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება, თუმცა, მოცემულ საგზაო შემთხვევაში ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის დაშორების მანძილი, როდესაც საფრთხე ფაქტიურად შეექმნა მძლოლს, ბავშვის მიერ 6 მეტრი მანძილის გარბენის შემთხვევაში არის 28 მეტრი, ხოლო ბავშვის მიერ 7,1 მეტრის გარბენის შემთხვევაში არის 33 მეტრი. მოცემულ საგზაო სიტუაციაში მძლოლს სჭირდება 42 მეტრი ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის, ანუ გასაჩერებელი მანძილი აჭარბებს ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილს, როცა საფრთხე შეიქმნა მოძრაობაში, და შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით მძლოლი ვერ აიცილებდა ავტოსაგზაო შემთხვევას. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ექსპერტიზისათვის მხოლოდ სირბილის მცნება არ არსებობს. მსოფლიო მასშტაბით და საქართველოში არსებობს ქვეითად მოსიარულის 5 მოძრაობის ტემპი, ესენია: ნელი ნაბიჯი, საშუალო ნაბიჯი, სწრაფი ნაბიჯი, ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი. ყველა ასაკისთვის არსებობს ქვეითად მოსიარულის სიჩქარე და შემდეგ გამოიყენება საექსპერტო პრაქტიკაში ანგარიშის დროს. იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალების მიხედვით არ იქნებოდა დაკონკრეტებული ქვეითის მოძრაობის ტემპი, ნელი სირბილით გადარბოდა ქვეითად მოძრავი თუ სწრაფი სირბილით, და აღნიშნული არსებით გავლენას მოახდენდა დასკვნის შედეგზე, დააბრუნებდა საქმის მასალებს და მოითხოვდა იმის დაკონკრეტებას, ნელი სირბილით გადარბოდა ქვეითი თუ სწრაფი სირბილით. მოცემულ საქმეზე კი სირბილის ტემპის დაკონკრეტება არსებით გავლენას ახდენდა დასკვნის შედეგებზე. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ავტომობილი აღჭურვილია "აბეეს" სისტემით, დამუხრუჭებისას შეიძლება ხმაც გამოსცეს, მაგრამ, როდესაც თვლის ბლოკირება ხდება სრულად, ხშირია შემთხვევა, რომ სავალ ნაწილზე სამუხრუჭე კვალის აღმოჩენა ძალიან რთულია, შეიძლება კვალი არც აღმოჩნდეს.

(იხ. 29.01.2014 წ. 15:44:43-16:04:09 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ზ----- თ----- საქმის არსებითი განხილვისას მიცემული ჩვენებით განმარტა, რომ არის სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი. ის ეთანხმება მის მიერ გაცემულ დასკვნას. მის სამსახურში შევიდა ადვოკატის განცხადება, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტიზის წინაშე დასმული იყო ოთხი კითხვა, განცხადებას თან ერთვოდა საქმის მასალის ასლები, შეისწავლა ისინი, გაითვალისწინა განცხადებაში აღწერილი გარემოებები და გასცა დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მძღოლს ტექნიკური თვალსაზრისით არ შეეძლო ქვეითზე დაჯახების თავიდან აცილება. ექსპერტის განმარტებით მოძრაობის ტემპს ღებულობენ იმ ცხრილებიდან, რომელიც მიღებულია საქართველოს ტერიტორიაზე. სიარულით მოძრაობისას არის სამი ტემპი, სირბილით მოძრაობისას არის ორი ტემპი, ესენია: ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი, მხოლოდ სირბილი კი არ არსებობს. თუ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებაში არ არის აღნიშნული კონკრეტულად ნელი სირბილი ან სწრაფი სირბილი და მასში აღნიშნულია მხოლოდ სირბილი, ასეთ შემთხვევაში ითხოვენ დაკონკრეტებას თუ როგორი ტემპით მოძრაობდა ქვეითად მოსიარულე, ეს იყო ნელი სირბილი თუ სწრაფი სირბილი. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გზის სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს გვერდულზე გაჩერებული მიკროავტობუსი არ წარმოადგენდა საფრთხეს და დაბრკოლებას საპირისპირო მხრიდან მოძრავი მძღოლისათვის. ის იცნობს აღნიშნულ საქმეზე გაცემულ პირველ დასკვნასაც და დასკვნებს შორის განსხვავება არის მოძრაობის ტემპში. სწრაფი სირბილის შემთხვევაშიც 7,1 მეტრი რომ გაერბინა ბავშვს, მაშინაც არ შეეძლო მძღოლს თავიდან აეცილებინა ავტოსაგზაო შემთხვევა მოძრაობის ტემპიდან გამომდინარე. რეალურად, მის მიერ გაცემული დასკვნა იდენტურია საქმეში არსებული პირველი დასკვნისა გამოკვლევის წესის თვალსაზრისით, მხოლოდ მოძრაობის ტემპი არის განსხვავებული. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ საქმის მასალებით "მერსედესის" მარკის ა/მანქანა გაჩერდა შეჯახებიდან სამიდან ორ მეტრში, რაც იმას მიანიშნებს, რომ დაჯახების მომენტში მანქანა იყო დამუხრუჭების პროცესში, რაც შეეხება კვალს, როდესაც მანქანა აღჭურვილია "აბეის" სისტემით, მისი დანიშნულებაა, რომ თანაბრად გადაანაწილოს გაჩერების მომენტში სამუხრუჭე ძალები, საჭის ალების შემთხვევაში ხდება ძალების გადაანაწილება. ამ შემთხვევაში, საჭის მარცხნივ ალებისას შეიძლება და სიმძიმის ცენტრის გადაანაცვლებას გამოეწვიოს ის, რომ კვალი არ დარჩენილიყო. კვალი ზოგადად რჩება, მაგრამ უხილავია.

(იხ. 29.01.2014 წ. 16:06:34-16:15:53 სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება).

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, შემთხვევის ადგილის დათვალეირების ოქმით და შემთხვევის ადგილის სქემა ნახაზის მიხედვით, ხობიდან ქ----- მიმართულებით დგას "მერსედეს-ბენცის" მარკის ა/მანქანა, სახელმწიფო ნომრით X-----, ავტომანქანა მარცხენა წინა და უკანა საბურავებით

გადასულია გზის მარცხენა მხარეს, გვერდულზე. ავტომანქანის წინა მხარეს, 3,10 მეტრში არის ადგილი, სადაც ლ---- მ----- იწვა დაცემის შემდეგ. მანქანის წინა მხარეს, 0,5 მეტრის დაშორებით, მარცხენა მხარეს 2,4 მეტრის დაშორებით და უკანა მხარეს 0,2 მეტრის დაშორებით დევს ა/მანქანის ნაწილების ნამსხვრევები. საავტომობილო გზის სავალი ნაწილის სიგანე არის 7,1 მეტრი.

(იხ.ს.ფ. 4-35)

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სამეგრელო-ზემო სვანეთის ს----- 2013 წლის 13 ოქტომბრის №294/ტ ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად:

ა) ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ”მერსედეს-ბენცის” მარკის სახ. ნომრით X----- ავტომობილზე არსებული დაზიანების აღწერილობა იხილეთ დასკვნის კვლევით ნაწილში.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ავტომობილის ძრავის სახურავზე, წინა მარჯვენა მამუქ ფარზე და მოპირკეთება პლასტმასზე არსებული დაზიანებები, თავისი ფორმით, წარმოქმნის მექანიზმითა და განვითარების ხასიათით, დამახასიათებელია მათი რაიმე რბილი საფარის მქონე სხეულთან შეჯახება ურთიერთქმედებისათვის, როგორც შესაძლოა იყოს ადამიანის სხეულიც.

ბ) ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ”მერსედეს-ბენცის” მარკის სახ. ნომრით X----- ავტომობილის, საჭით მართვის მექანიზმი და სამუხრუჭე სისტემა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია.

გ) ექსპერტიზაზე წარმოდგენილ საკვლევ ობიექტებზე არსებული დაზიანების აღწერილობა იხილეთ დასკვნის კვლევით ნაწილში.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი №1, №2, №3 საკვლევ ობიექტები წარმოადგენს ”მერსედეს-ბენცის” მარკის სახ. ნომრით X----- ავტომობილის წინა მარჯვენა მცირე და საშუალო ზომის მამუქი ფარის შუქგამბნევის დაზიანებულ ნაწილებს, ხოლო №4 საკვლევ ობიექტი წარმოადგენს ”მერსედეს-ბენცის” მარკის სახ. ნომრით X----- ავტომობილის წინა მარჯვენა მამუქი ფარის გამწმენდი საშუალების პლასტმასის დაზიანებულ ნაწილს.

ამავე დასკვნის კვლევითი ნაწილის მიხედვით, ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით ავტომობილის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ წარმოდგენილ ავტომობილს წინა მარჯვენა ნაწილში აღენიშნება წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ მოქმედი ძალით განვითარებული ავარიული ხასიათის მექანიკური დაზიანებები, რის შედეგად ავტომობილის ძარა

დეფორმირებულია, კერძოდ დაზიანებულია: წინა მოპირკეთება, ძრავის სახურავი, წინა მარჯვენა მაშუქი ფარი. წარმოდგენილი ავტომობილის ძრავის სახურავის მარჯვენა გვერდითა ნაწილზე აღენიშნება ოვალურ ტალღობრივი დაზიანება ჩაღრმავების სახით, ზომით 92X40 სმ ფართობზე.

(იხ. ს.ფ. 107-113).

სასამართლო აღნიშნავს, რომ ტრასოლოგიური ექსპერტიზის №294/ტ დასკვნის მიხედვით დგინდება, რომ ა/მანქანა ქვეითს შეეჯახა წინა მარჯვენა ნაწილით, რასაც ასევე ადასტურებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე დართული მანქანის ფოტოსურათები. აღნიშნული გარემოება კი გამორიცხავს ქვეითზე შეჯახებას ა/მანქანის მოძრაობის საპირისპირო ზოლის უკიდურეს მარცხენა მხარეს, ქვეითის სავალ გზაზე.

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის №004638013 დასკვნის თანახმად:

მოქალაქე ლ---- მ-----ს სიკვდილის მიზეზია თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით განვითარებული ქალა-ტვინის ბლავგი ტრავმის შედეგად.

გვამის გამოკვლევისას ნანახი სიკვდილის შემდგომი ნაადრევი გვამური მოვლენების მხედველობაში მიღებით: სიკვდილის დადგომიდან გვამის გამოკვლევამდე გასული უნდა იყოს დროის შუალედი არაუმცირეს ორი საათისა.

მოქალაქე ლ---- მ-----ს გვამზე აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: უსწოროკიდებიანი ჭრილობა თხემის მიდამოში მარჯვნივ, სისხლჩაქცევებით ქალას რბილი საფარის ქსოვილში, რბილ გარსებში და თავის ტვინის ნივთიერებაში, ნათხემში და მოგრძო ტვინში. მრავლობითი ნაჭდევები სხეულის სხვადასხვა მიდამოებში - განვითარებულნი არიან სიკვდილამდე წინა უახლოეს პერიოდში რაიმე მკვრივი-ბლავგი საგნის (საგნების) ზემოქმედებით, ერთობლიობაში მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს და მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან დამდგარ შედეგთან -სიკვდილთან.

დაზიანებათა აღწერილობა და ზუსტი ლოკალიზაცია იხილეთ გვამის გარეგნული და შინაგანი გამოკვლევის მონაცემებში.

გვამიდან აღებული სისხლის ნიმუში გადაგზავნილია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ბიოლოგიურ

მასალათა არქივში შესანახად.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, ლ---- მ-----ს გვამიდან აღებულ სისხლში არ აღმოჩნდა მეთილის, ეთილის და იზოპროპილის სპირტები. სისხლში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები: ოპიატები, მეტადონი, ბუპრენორფინი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი, ამფეტამინი, მეტამფეტამინი, კოკაინი.

(იხ. ს.გ. 151-156).

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, ალკოტესტით სიმთვრალე-სიფხიზლეზე შემოწმების შესახებ ოქმის თანახმად, დ---- კ----- არ დაუდგინდა ალკოჰოლური თრობის ფაქტი.

(იხ. ს.გ. 43-44).

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის №005250113 დასკვნის თანახმად, დ---- კ----- სისხლისა და შარდის ნიმუშებში არ აღმოჩნდა ეთილის სპირტი და ნარკოტიკული საშუალებები - ამფეტამინი, მეტამფეტამინი, ოპიატები, კოკაინი, მეთადონი, ბუპრენორფინი, ტეტრაჰიდროკანაბინოლი.

(იხ. ს.გ. 167-169).

საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული, პიროვნების შესახებ ინფორმაციის თანახმად, დ---- კ----- გააჩნია B კატეგორიის მართვის მოწმობა, გაცემული 2012 წლის 01 ივლისს, №E-----.

(იხ. ს.გ. 45).

საქმეში არსებული საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ი----- ს----- 2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნის თანახმად, გამოძიებით დადგენილ ვითარებაში დ---- კ----- ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება.

(იხ. ს.გ. 118-122).

საქმეში არსებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის 19 ნოემბერს გაცემული სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის №005223213 დასკვნით დადგენილია შემდეგი: 1.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე ქვეითად მოსიარულემ ავტომობილ „Mercedes benz“, X-----ის მძღოლის მხედველობის არეში გამოჩენიდან დაჯახების მომენტამდე გზის სავალ ნაწილზე სწრაფი სირბილით გაირბინა დაახლოებით 6.0 მეტრი მანძილი (ცდომილება +-5%);

2. მოცემულ შემთხვევაში შექმნილ საგზაო სიტუაციაში ავტომობილ „Mercedes benz“, X-----ის მძღოლს, ტექნიკური თვალსაზრისით, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო;

3. მოცემულ შემთხვევაში შექმნილ საგზაო სიტუაციაში თუ ქვეითადმოსიარულე ბავშვმა მძღოლის მხედველობის არეში მასზე ავტომობილის დაჯახების მომენტამდე სწრაფი სირბილით გაირბინა 7,1 მეტრი, როგორც ეს საქმეში არსებულ 2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნაშია აღნიშნული, ავტომობილ „Mercedes benz“, X-----ის მძღოლს, ტექნიკური თვალსაზრისით, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო;

4. მოცემულ შემთხვევაში შექმნილ საგზაო სიტუაციაში ავტომობილ „Mercedes benz“, X-----ის მძღოლის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნება.

(იხ. ს.ფ. 200-205).

სასამართლომ მხარეთა მონაწილეობით გამოიკვლია რა წარმოდგენილი მტკიცებულებები, მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა დ----- კ----- მიმართ წარდგენილ ბრალდებას, რაც საფუძველი გახდებოდა საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის.

სასამართლოს აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს აძლევს შემდეგ გარემოებათა ერთობლიობა:

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, მხარეთა მიერ სადავო მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. პირველი არის ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნა, გაცემული საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ი----- ს----- მიერ. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, გამოძიებით დადგენილ ვითარებაში დ----- კ----- ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. მეორე არის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი, 2013 წლის 19 ნოემბრის №005223213 ავტოტექნიკური დასკვნა, გაცემული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, „Mercedes benz“, X-----ის მძღოლს, ტექნიკური თვალსაზრისით, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა არ აღინიშნება.

2013 წლის 14 ოქტომბრის №563/ა დასკვნის გამცემი, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ი----- ს-----
----- ექსპერტის ზ---- გ----- მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის სახით მიცემული ჩვენებით დადგინდა, რომ ექსპერტიზის ჩატარებისას, იმის გასარკვევად, თუ რა მანძილი არის ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის ქვეითის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტისთვის, უნდა დადგინდეს სამი გარემოება, კერძოდ: ა/მანქანის მოძრაობის სიჩქარე, ქვეითის მიერ გავლილი მანძილი და ქვეითის ტემპის დინამიკა.

აღნიშნულ საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებისას, იმის დასადგენად, თუ რა მანძილი იყო ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის ბავშვის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტისთვის, ა/მანქანა ”მერსედესის” მოძრაობის სიჩქარედ გაითვალისწინა გამოძიების მიერ დადგენილი 60 კმ/სთ, ბავშვის მიერ გავლილ მანძილად გაითვალისწინა გამოძიების მიერ დადგენილი 7,1 მეტრი, ხოლო ბავშვის სირბილის სიჩქარედ გაითვალისწინა ნელი სირბილის დროს 9 წლის ასაკის ბავშვისათვის გათვალისწინებული სიჩქარე - 9 კმ/სთ, რის შედეგადაც დაადგინა, რომ როდესაც ბავშვმა დაიწყო გზაზე გადარბენა, ბავშვსა და ავტომობილს შორის მანძილი იყო 47,3 მეტრი. 60 კმ/სთ სიჩქარით მიმავალ ა/მანქანას კი სრული გაჩერებისათვის ესაჭიროებოდა 38 მეტრი. ვინაიდან, ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის საჭირო მანძილი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე გზაზე ბავშვის გადარბენის დაწყების მომენტიდან შეჯახების ადგილსა და ა/მანქანას შორის მანძილი, დაასკვნა, რომ კონკრეტულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მძღოლს შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. ამავე ექსპერტის ჩვენებით დადგინდა, რომ მოცემულ საქმეზე ნელი სირბილის ტემპი თუ შეიცვლება სწრაფი სირბილის ტემპით, შეიცვლება ბავშვის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტისთვის შეჯახების ადგილსა და ა/მანქანას შორის მანძილი, ვინაიდან, სწრაფი სირბილის შემთხვევაში 9 წლის ასაკის ბავშვის სირბილის სიჩქარე არის 13,1 კმ/სთ. ამ შემთხვევაში, ბავშვის მიერ გზის გადაკვეთის დაწყების მომენტისთვის შეჯახების ადგილსა და ა/მანქანას შორის მანძილი იქნება 32,5 მეტრი. 60 კმ/საათი სიჩქარით მიმავალ ა/მანქანას სრული გაჩერებისათვის ესაჭიროებოდა 38 მეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის საჭირო მანძილი უფრო მეტია, ვიდრე ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილი. ასეთ შემთხვევაში მძღოლი ვერ შეძლებდა მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილებას და შეიცვლება მის მიერ გაცემული დასკვნა.

ამდენად, ექსპერტ ზ---- გ----- ჩვენებით დადგინდა, რომ მოცემულ საქმეზე,

იმის გასარკვევად, თუ რა მანძილი იყო ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მძღოლის მხედველობის არეში ქვეითის გამოჩენის მომენტისთვის და შესაბამისად იმის დასადგენად, შეედლო თუ არა ბრალდებულ დ----- კ----- ტექნიკური თვალსაზრისით, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითთან დაჯახების) თავიდან აცილება, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ „მერსედეს ბენცის“ მარკის ა/მანქანა მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო ბავშვმა მძღოლის მხედველობის არეში მასზე ავტომობილის დაჯახების მომენტამდე გაირბინა 7,1 მეტრი, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გზის გადაკვეთისას ბავშვის სირბილის ტემპის დინამიკის დადგენას, ნელი სირბილის ტემპით მირობდა ის თუ სწრაფი სირბილის ტემპით.

2013 წლის 19 ნოემბრის №005223213 დასკვნის გამცემი, სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტების დ----- გ----- და ზ----- თ----- მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის სახით მიცემული ჩვენებებით დადგინდა, რომ აღნიშნულ საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებისას, იმის დასადგენად, თუ რა მანძილი იყო ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მძღოლის მხედველობის არეში ბავშვის გამოჩენის მომენტისთვის, ა/მანქანა „მერსედესის“ მოძრაობის სიჩქარედ გაითვალისწინეს გამოძიების მიერ დადგენილი 60 კმ/სთ, ბავშვის მიერ გავლილ მანძილად გაითვალისწინეს, როგორც 6.0 მეტრი, მ/ავტობუსის მძღოლის ჩვენებიდან გამომდინარე, ასევე გაითვალისწინეს გამოძიების მიერ დადგენილი და შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტის მიერ აღნიშნულ საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებისას გაზიარებული 7,1 მეტრი, რომელიც მიღებული იქნა იმის გათვალისწინებით, რომ მ/ავტობუსი მთლიანად იყო გადასული გზის სავალი ნაწილიდან, ხოლო ბავშვის მოძრაობის ტემპად გაითვალისწინეს სწრაფი ტემპი, მათთვის გადაცემული მასალებიდან გამომდინარე. მოცემულ საგზაო შემთხვევაში მძღოლის მხედველობის არეში ბავშვის გამოჩენის მომენტისთვის ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის დაშორების მანძილი, როდესაც საფრთხე ფაქტიურად შეექმნა მძღოლს, ბავშვის მიერ 6,0 მეტრი მანძილის გარბენის შემთხვევაში არის 28 მეტრი, ხოლო ბავშვის მიერ 7,1 მეტრის გარბენის შემთხვევაში არის 33 მეტრი. მოცემულ საგზაო სიტუაციაში მძღოლს სჭირდება 42 მეტრი ა/მანქანის სრული გაჩერებისათვის, რაც ნიშნავს, იმას, რომ გაჩერებისათვის საჭირო მანძილი აჭარბებს ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილს, შესაბამისად, ტექნიკური თვალსაზრისით მძღოლი თავიდან ვერ აცილებდა ავტოსაგზაო შემთხვევას. ექსპერტების ჩვენებებით ასევე დადგინდა, რომ არსებობს ქვეითად მოსიარულის 5 მოძრაობის ტემპი, ესენია: ნელი ნაბიჯი, საშუალო ნაბიჯი, სწრაფი ნაბიჯი, ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი, ანუ არსებობს სირბილის ორი ტემპი, ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი. ექსპერტიზისათვის მხოლოდ სირბილის მცნება არ არსებობს. მოცემულ საქმეზე სირბილის ტემპის დაკონკრეტება არსებით გავლენას ახდენდა დასკვნის შედეგზე და იმ შემთხვევაში, თუ საქმის მასალების მიხედვით არ იქნებოდა დაკონკრეტებული ქვეითის მოძრაობის ტემპი, ნელი სირბილით

გადარბოდა ის თუ სწრაფი სირბილით, საქმის მასალები უნდა დაბრუნებოდა ექსპერტიზის ჩატარების შემკვეთს სირბილის ტემპის დასაკონკრეტებლად. ამავე ექსპერტების ჩვენებებით დადგინდა, რომ, როდესაც ავტომობილი აღჭურვილია "აბეეს" სისტემით, დამუხრუჭებისას თვლების ბლოკირება ხდება სრულად, საჭის მოხვევის შემთხვევაში ხდება ძალების გადანაწილება და ხშირია შემთხვევები, როდესაც სავალ ნაწილზე სამუხრუჭე კვალის აღმოჩენა ძალიან რთულია, ან შეუძლებელია კვალის საერთოდ არ აღმოჩენა. მოცემულ შემთხვევაში ა/მანქანა „მერსედეს ბენცი“ დაჯახების მომენტში იყო დამუხრუჭების მდგომარეობაში, რადგან იგი გაჩერდა შეჯახებიდან დაახლოებით სამ მეტრში. ამავე ექსპერტების ჩვენებით დადგინდა, რომ მათ მიერ გაცემული დასკვნა იდენტურია შს სამინისტროს ს----- მიერ გაცემულ დასკვნისა, მძღოლისათვის საფრთხის შექმნის მომენტიდან ა/მანქანასა და დაჯახების ადგილს შორის მანძილის გამოთვლის წესის თვალსაზრისით. დასკვნებს შორის განსხვავება არის მხოლოდ ბავშვის სირბილის ტემპში. ანალოგიური დასტურდება ასევე ექსპერტ ზ----- გ----- მიერ მიცემული ჩვენებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ექსპერტმა ზ----- გ----- ექსპერტიზის ჩატარებისას ბავშვის სირბილის ტემპად გაითვალისწინა ჩვეულებრივი სირბილის ტემპი, თუმცა საფრთხის შექმნის მომენტიდან ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს შორის მანძილის გამოთვლისას გაითვალისწინა ბავშვის ნელი სირბილის ტემპისათვის გათვალისწინებული სიჩქარე - 9 კმ/სთ, ისე, რომ გამოძიების მიერ ნელი სირბილის ტემპი დადგენილი არ ყოფილა.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების დ----- გ----- და ზ----- თ----- ჩვენებებით დადგინდა, რომ თუ ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი მასალებით ზუსტად არ იქნება დადგენილი ქვეითად მოსიარულის სირბილის ტემპი და აღნიშნული ტემპის დადგენა გავლენას ახდენს დასკვნის შედეგზე, წარდგენილი მასალები უკან უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის ჩატარების შემკვეთს, სირბილის ტემპის დაზუსტების მიზნით. ამ შემთხვევაში გაურკვეველია, თუ რატომ გაითვალისწინა ექსპერტმა ზ.გ----- ბავშვის ნელი სირბილის ტემპისათვის გათვალისწინებული სიჩქარე, როდესაც საქმის მასალებში მითითება იყო მხოლოდ სირბილზე და ერთი მითითებაც კი არ იყო ბავშვის ნელი ტემპით გადარბენაზე, ანუ გამოძიების მიერ არ იყო დადგენილი ბავშვის ნელი სირბილის ტემპი, ამასთან ბრალდებული თავის ჩვენების დასაწყისში უთითებდა ბავშვის სწრაფი სირბილის ტემპით გადარბენაზე და გაურკვეველია, თუ რატომ არ დაუბრუნა გამოძიებას მასალები სირბილის ტემპის დასაზუსტებლად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეზე ბავშვის სირბილის ტემპის დაზუსტებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ექსპერტიზის დასკვნის შედეგისათვის, რადგან საქმეზე დაკითხული ყველა ექსპერტის ჩვენებით დადგენილია, რომ ბავშვის ნელი სირბილის ტემპის გათვალისწინებისას ექსპერტიზის დასკვნის შედეგი რადიკალურად განსხვავდება, ბავშვის სწრაფი

სირბილის ტემპის გათვალისწინებისას ექსპერტიზის დასკვნის შედეგზე.

ამდენად, როგორც შს სამინისტროს ს-----
ექსპერტ ზ----- გ----- ჩვენების ანალიზით, ასევე, სსიპ ლ.სამხარაულის
სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების დ----- გ-----
----- და ზ----- თ----- ჩვენებების ანალიზით დადგინდა, რომ მოცემულ
საქმეზე, იმის გასარკვევად, თუ რა მანძილი იყო ა/მანქანასა და შეჯახების ადგილს
შორის მძღოლის მხედველობის არეში ქვეითის გამოჩენის მომენტისთვის და
შესაბამისად იმის დასადგენად, შეეძლო თუ არა ბრალდებულ დ----- კ-----
ტექნიკური თვალსაზრისით, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის
(ქვეითთან დაჯახების) თავიდან აცილება, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ
„მერსედეს ბენცის“ მარკის ა/მანქანა მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით, ხოლო ბავშვმა
მძღოლის მხედველობის არეში მასზე ავტომობილის დაჯახების მომენტამდე
გაიღებინა 7,1 მეტრი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გზის გადაკვეთისას
ბავშვის სირბილის ტემპის დინამიკის დადგენას, ნელი სირბილის ტემპით მირბოდა
ის, თუ სწრაფი სირბილის ტემპით.

საქმის არსებითი განხილვის დროს, ბრალდების მხარის მიერ დ----- კ-----
მიმართ წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად, გარდა წერილობითი
მტკიცებულებებისა, წარმოდგენილი იქნა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი-----
----- მ-----, მოწმეები მ----- მ----- და თ----- ბ-----, ექსპერტი ზ----- გ-----
----- და საქმეზე საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებული გამომძიებლები.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი----- მ-----ს, ასევე მოწმეების მ-----
მ-----ს და თ----- ბ----- მიერ საქმის არსებითი განხილვისას მიცემული
ჩვენებების შეფასებით დგინდება, რომ მათ არ დაუნახავთ ბავშვი გზის გადაკვეთის
მომენტში, არ დაუნახავთ შეჯახების მომენტი, შეჯახებამდე არ დაუნახავთ იმ
მანქანის მოძრაობა, რომელიც ბავშვს შეეჯახა, ნახეს მხოლოდ შეჯახების შემდგომი
ფაქტები. ამასთან, ი----- მ----- შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა და
მას გააჩნია მისი დედის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ამდენად, აღნიშნულ
მოწმეთა წარმოდგენით ბრალდების მხარეს სასამართლოსთვის არ მიუწოდებია
რაიმე ინფორმაცია ბავშვის სირბილის ტემპთან დაკავშირებით, შეჯახების
ადგილთან და მანქანის მოძრაობის სიჩქარესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გამომძიებლების მ----- ქ-----, ლ----- კ-----, ა----- მ----- და გ-----
შ----- მიერ საქმის არსებითი განხილვისას მიცემულ ჩვენებებს, რასაც ბრალდების
მხარე დ----- კ----- მიმართ წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელ
მტკიცებულებებად განიხილავს, სასამართლო განმარტავს, რომ საქმის
მწარმოებელი გამომძიებლების დაკითხვა საქმის არსებითი განხილვისას, ხდება
მათ მიერ ჩატარებულ საგამოძიებო და პროცესუალურ მოქმედებებთან
დაკავშირებით და გამომდინარეობს სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის
მოთხოვნიდან, რომლის თანახმად, დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება

დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი, ან რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. ამდენად, გამომძიებლებმა სასამართლოს ჩვენებები მისცეს მათ მიერ მოპოვებულ, შექმნილ და სასამართლოში წარდგენამდე შენახულ ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებებთან დაკავშირებით და ისინი, გარდა მათ მიერ ამ პროცესში მიღებული ინფორმაციისა, არ ფლობენ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემებს, ხოლო ინფორმაცია მოწმის ჩვენებების სახით, რაც მათ მოიპოვეს და წარადგინეს სასამართლოში, მოწმეების მიერ სასამართლო განხილვისას დადასტურების შემთხვევაში იძენს მხოლოდ მტკიცებულებით მნიშვნელობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ ის არ დადასტურდა სასამართლო განხილვისას.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამომძიებელთა მითითება იმის შესახებ, რომ ბავშვის სირბილის ტემპის დასაკონკრეტებლად შეკითხვები დაუსვეს მათ მიერ დაკითხულ ბრალდებულს და მოწმეებს, ეწინააღმდეგება მათ მიერვე ნაწარმოებ აღნიშნულ პირთა დაკითხვის ოქმებს, რომელთა მიხედვით, ბავშვის სირბილის ტემპთან დაკავშირებით შეკითხვები დასმული არ არის, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მათი დაკითხვის ოქმებში და საქმის მასალებში დაზუსტებული არ არის.

(იხ. ს.გ. 53-55; 57-60; 70-72; 74-76; 82-84; 135-137).

ამდენად, ბრალდების მხარის მიერ საქმის არსებითი განხილვისას წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ავტო-საგზაო შემთხვევის დროს ლ---- მ-----ს ნელი ტემპით სირბილს.

საქმის არსებითი განხილვის დროს დაკითხული მოწმეების მ--- ხ-----ს, ხ----- ხ-----ს და ბრალდებულ დ---- კ----- ჩვენებებით დადგინდა, რომ დ---- კ----- მართვის ქვეშ მყოფი ა/მანქანა „მერსედეს ბენციტ“ მოძრაობდნენ ზუგდიდიდან ბათუმის მიმართულებით. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შ--- ხ-----, მას შემდეგ, რაც გადავიდნენ მდინარე ხობისწყლის ხიდს, დაინახეს მათი მოძრაობის საპირისპირო ზოლში მდგარი თეთრი ფერის მ/ავტობუსი, მოძრაობდნენ 60 კმ/სთ სიჩქარით, როდესაც გაუსწორდნენ აღნიშნულ მ/ავტობუსს, მ/ავტობუსის უკანა მხრიდან, მათი მოძრაობის მიხედვით მარცხნიდან მარჯვნივ გადაირბინა ბავშვმა გზის სავალ ნაწილზე სწრაფი სირბილით, როგორც კი ბავშვი დაინახა, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შეჯახება, მძღოლმა ერთდროულად საჭეს მოუხვია მარცხნივ და დაამუხრუჭა, მაგრამ როდესაც ბავშვმა მათი მანქანის სამოდრაო ზოლის შუა ნაწილამდე მიიბრინა, დაბრუნდა უკან და იგივე ტემპით გააგრძელა უკან სირბილი, რა დროსაც მოხდა შეჯახება სავალი ნაწილების გამყოფ ღერძულა ხაზთან მათ სამოდრაო ზოლში. იმ გარემოებას, რომ ა/მანქანა „მერსედეს

ბენცი“ დაჯახების მომენტში იყო დამუხრუჭების მდგომარეობაში, ადასტურებს მოწმის სახით დაკითხული ექსპერტი ზ----- თ-----, ასევე მოწმეთა ჩვენებების ის ნაწილი, სადაც უთითებენ, რომ შეჯახების შემდეგ მანქანა უცებ გაჩერდა.

ბრალდების მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ ბავშვი საავტომობილო გზას კვეთდა ნელი, ჩვეულებრივი სირბილით, სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, როგორც ექსპერტების ჩვენებებით დადგინდა ნელი სირბილი და ჩვეულებრივი სირბილი არ არის ერთი და იგივე, ექსპერტიზისათვის ჩვეულებრივი სირბილი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის ნელი სირბილის ტემპით მოძრაობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ბრალდების მხარეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

სასამართლო, ბრალდების მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ უნდა იქნეს გაზიარებული მოწმეების მ.ხ-----ს და ხ.ხ-----ს მხოლოდ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები, სადაც ისინი კონსულტაციის მიღების გარეშე უთითებდნენ ბავშვის მხოლოდ გადარბენაზე და არა სწრაფად გადარბენაზე, ასევე ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, მოწმის ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, რომელსაც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეიძლება ეყრდნობოდეს გამამტყუნებელი განაჩენი, სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის შესაბამისად, არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ამდენად, გამოძიების ეტაპზე მიცემული ინფორმაცია, თუ ის არ დადასტურდა ინფორმაციის მიმცემის მიერ სასამართლოშიც, ვერ იქნება გამოყენებული ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ასევე ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბრალდებულმა გამოძიების ეტაპზე დამცველის კონსულტაციის გარეშე მიუთითა, რომ ბავშვმა გზაზე სწრაფი სირბილით გადაიარბინა. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ ბრალდების მხარემ საქმეზე გარკვეული გარემოებები, მათ შორის მანქანის მოძრაობის სიჩქარე - 60 კმ/სთ, ასევე მანქანის ბავშვზე შეჯახების ადგილი - ღერძულა ხაზი დაადგინა სწორედ აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, ვინაიდან სხვა მტკიცებულება მითითებულ გარემოებათა დასადგენად საქმეში არ მოიპოვება.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, გათვალისწინებულიც რომ იქნეს მოწმეების მ.ხ-----ს და ხ.ხ-----ს მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები, აღნიშნული ჩვენებებიც კი ვერ დაედება საფუძვლად დ----- კ----- მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, ვინაიდან აღნიშნული მოწმეები გამოძიების ეტაპზე უთითებენ ბავშვის მიერ გზაზე მხოლოდ გადარბენაზე, ანუ გამოძიების ეტაპზე აღნიშნულ მოწმეთა მიერ დაკონკრეტებული არ არის ბავშვის სირბილის ტემპი, ნელი სირბილით გადარბოდა თუ სწრაფი სირბილით. ექსპერტების ჩვენებებით კი დადგინდა, რომ მხოლოდ სირბილი არ არსებობს, არსებობს ნელი სირბილი და სწრაფი სირბილი. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად

„მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე უტყუარად იქნა დადგენილი, რომ დ-ს მ-ს შეჯახებისას ა/მანქანა „მერსედეს ბენცის“ მძღოლი დ-ს კ-ს მოძრაობდა 60 კმ/სთ სიჩქარით, ბავშვმა გზის სავალ ნაწილზე გადაირბინა სწრაფი სირბილით, ბავშვის მიერ გზის სავალ ნაწილზე გავლილი მანძილი შეადგენს 7,1 მეტრს, შეჯახება მოხდა სავალი ნაწილების გამყოფ ღერძულა ხაზთან „მერსედეს ბენცის“ სამოძრაო ზოლში.

ამდენად, საქმეში არსებული სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის №005223213 დასკვნის და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკითხული სამივე ექსპერტის ჩვენებების საფუძველზე, სადაც ისინი ერთხმად და კატეგორიულად უთითებენ, რომ მძღოლის მხედველობის არეში ბავშვის მიერ 7,1 მეტრი მანძილის სწრაფი სირბილით გარბენის შემთხვევაში, 60 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ა/მანქანის მძღოლს, ტექნიკური თვალსაზრისით, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ საგზაო სიტუაციაში ბრალდებულ დ-ს კ-ს მიერ ადგილი არ ჰქონია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფას.

გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდებულ დ-ს კ-ს ტექნიკური თვალსაზრისით, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის (ქვეითზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო და შესაბამისად შექმნილ საგზაო სიტუაციაში მის მიერ ადგილი არ ჰქონია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევას, მისი ქმედება არ შეიცავს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ვინაიდან აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უკავშირდება მძღოლის მიერ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რასაც დ-ს კ-ს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა დ-ს კ-ს მიმართ წარდგენილ ბრალდებას და ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოებები ვერ სცილდება დაუდასტურებელი ეჭვის დონეს, რაც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის დამნაშავედ ცნობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არავინ

არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. ამავე კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. ასევე, ამავე კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა უშუალო მონაწილეობით საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზე არ არის გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა დ----- კ----- დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის, კერძოდ, ბრალდების მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა დ----- კ----- ბრალეულობაში, რის გამოც იგი უნდა გამართლდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 255-ე, 258-260-ე, 268-ე, 270-ე, 275-ე, 276-ე, 277-ე, 279-ე, 292-ე, 293-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ბრალდებული დ----- კ----- ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

დ----- კ----- მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდეს და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გამართლებულ დ----- კ----- განემარტოს, რომ აქვს უფლება აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომობილი, სახელმწიფო ნომრით X-----, რომელიც განთავსებულია ქ.სენაკი, ჭ----- ქუჩა №--ში მდებარე სპეციალურ ავტოსადგომზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების

მიღების შემდეგ დაუბრუნდეს მის მფლობელს დ----- კ-----.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი პლასტმასის და მინის ნამსხვრევები, რომლებიც ინახება ხობის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს.

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით, ფოთის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე

რევაზ ნადარაია